

1926 წელი



ომატრიკა სხოპრება



საბავშვო სალიტერატურო ჟურნალი



აპაპინს

გულსევიდიანი ჩამოაკრავ სიმებს,
სიმღერას გეტყვი მწარე გლოვისას,
ჩემი სიკოცხლის მზე დაგიტირებს,
ცრემლებს დაგაფრქვევ ობოლ სულისას.

თუმცა გეშორდები, ტოვებ ტკბილ მამულს,
ჩვენი ბედ-იღბლის სწორად მღერალო!
მაგრამ კურთხევა მაგ შენ წმიდა სულს
დაუვიწყარო დიდო მწერალო!

დადგება ჟამი: ხალხი ტანჯული,
შვეა საბოთხის ტურფა მდგლოში
და შენი ძეგლი ზე-აღმარაული,
ძლიევით იბრწყნევებს საქართველოში!..

დარია ახვლედიანისა

საქართველოს მგას

და შენც გეშორდები... შენც ესაღმები
სატრფო-სამშობლოს, ცრემლ-შეუწყვეტელს;
შენც ესვენები, შენც ფვარები
წიაღს უსახლვროს და განუჭკრეტელს...

ღეე, შენ შემდეგ შენი ქვეყანა
მწუხრის მანდილით ვადითაღბოს
და ეს ამბავი, ეს გლოვის ზარი
ამირან გმირმა მთებს გაღასქანოს...

Handwritten signature or mark.

ს კ ა კ ი ს ნ ო მ ე რ ი - ს

№ 5 შინაარსი:



1. მეთაური—მამული შვილობის მოციქული	1	11. კრიტ. კიკა აბაშიძე—აკაკი—ერის	
2. კომიტეტი—ქართველ ტრისადმი	"	მესიძე მულე და მოხარეა	"
3. შ. ქ. უიფიანი—აკაკი გარდაიცვალა	2	12. კრიტ. ხომლედი—აკაკი—ლირიკოსი	
4. ი. გედევანი შვილი—შორს გოდება!	"	და პრ-ზაიკი	6
5. აკაკი—გულის პასუხი (ლექსი, საკუთარი	3	ვ) როგორ დაფასა მშობელმა ერმა?	"
ხელთნაწერი)		ზ) იცნობენ თუ არა უცხონი?	"
6. იოსებ არიშათელი—ა) ვინ იყო აკაკი	"	12. აკაკის ლექსები: ა) ჩემი რწმენა (უკა-	
ბ) რა ვითარებაში მოუხდა აკაკის	"	ნასენელი, დაუბეჭდავი)	8
მოღვაწეობის დაწყება?	"	ბ) განთიხიდი—მთა-წმიდა ჩაფიქ-	
გ) როდის დაიწყო ლექსების წერა	"	რებულა	10
და რა იმოღვაწა?	"	გ) სულიკო	11
დ) როგორი მგოსანია?	?	13. აკაკის მოთხრობა—ა) სიკვდილი	"
ე) რა დასწერა?	5	ბ) ანდერძი (მოთხრობაში)	13
როგორ ახასიათებენ აკაკის ჩვენი მეც-		14. სოფ. მაგალობლი შვილი - ჩვენთან არს	
ნიერ-კრიტიკოსები:		აკაკი!	14
7. პროფ. ალ. ცაგარელი—აკაკი ერთო-		15. აკაკის გარდაცვალების გამო	15
ბის მოციქულია	"	16. ღარია ახვლედიანი—აკაკის	
8. იაკობ გოგებაშვილი—აკაკი საქარ-		17. გ. ქუჩი შვილი—საქართველოს მზეს (კანზე)	
თველოა	6	18. სურათები: ა) ბოლო ღროისა;	
9. პროფ. ალ. ხახანაშვილი—აკაკი—		ბ) აკაკი ბავშვთა შორის;	
მსოფლიო სკდდის მომთქმელია	"	გ) აკაკი 20 წლის წინად;	
10. კრიტ. ივ. გამართელი—აკაკი უკვ-		დ) აკაკი ერთი ღამე მეტეხში (სურათი)	
დავია და ქართველთა სიამაყე	"		

კვირას 1 თებერვალს, დღის 12 ს., ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში დანიშნულია საქართველოს დიდებული მგოსნის

ს კ ა კ ი ს

სულის მოსახსენებლად პანაშვიდი, რასაც დიდის გლოვითა და მწუხარებ-
ბით საოველთაოდ აუწყებს ყველა ქართულ საზოგადოებრივ-კულტურულ
დაწესებულებათა მიერ არჩეული საგანგებო კომიტეტი.

„სახალხო ფურცელი“, „ახალი აზრი“, „შადრევანი“, „თემი“, „კლდე“,
„თეატრი და ცხოვრება“, „განათლება“, „ნაკადული“ და „ჯეჯილი“
აუწყებენ საზოგადოებას

ს კ ა კ ი ს

გარდაცვალებას



თ 34

№ 5

წელიწადი მ ს ს მ მ

წელიწადი 5 მ., ნანევარ წელიწადი 3 მ., ცალკე ნომერი 10 კ. ხელის მოწერა მიიღება „სოფლის სტამბაში“. მისამართი: **თიფლისი** (Tiflis) რედ. „Театრი да Цховреба“ I. **Имедашвили**

ხელ-მოწერელი წერილები არ დაიბეჭდება. ხელთნაწერილი საჭიროებისებურ შემთხვევაში წარადგინეთ პირისპირ მოლაპარაკება მიიღება „სოფლის სტამბის“ კანტინაში—ლილით 9—2 ს., საღამოით 5—7 ს., ტელეფონი № 15-41

№ 5

კ ვ ი რ ა ი თ ე ზ ე რ ვ ა ლ ი

1915 წ.

1 თმებარვალი

მამულიშვილობის მოციქული

ბუნებამ თავისი აი-ნაწლაურა... დიდი შოთას სწორ-ზოგვარი მემკვიდრის ბაგენი დაღუმდენ...

ველარ ვსპერეტო შუქურა აკაკის, ჩვენის ერის სულიკვეთებიათა შესაიღუმდესა და სიამაყეს... ველარ ვსპერეტო, მაგრამ იგი ჩვენ-შია, იგი—ჩვენა ვართ—სრულიად გათვით-ცნობიერებული საქართველო...

სად, სად არის ისეთი ქართველი, აკაკის სახელი რომ არ გაეგონოს, არ დამტკბარი-ყოს მისი ზევეფენიური ლექსებით, ტბილ ჰანგით?!

მრავალტანჯულმა ქართველმა ერმა წარმოშობა იგი და მანც, ვითარცა ღირსეულმა შვილმა, მიწიერთა შორის რჩეულმა, დეთიური სიმღერებით გამოჰხატა მშობელი ერის ტანჯვა, ვეფხე, იმედი, სასოება და ღრმად გულში ჩაგვინერგა, შეუღერეულ რწმენად შთა-გვაგონა, რომ ჩვენი სამშობლო „არ მომკე-დარა, მხოლოდ სძინავს, და ისევე გაიღვი-ძებს...“

არა, არ მომკედარა და არც მოკვდება აკაკის მშობელი ერი..

იგი მამულიშვილობის მოციქული არა თუ იყო, არამედ არის და იქნება კიდევ... იგი მარადის ერთაობის შექადებელი იყო და აქი აიტომაც შეიქმნა საქართველოს გული...

სამოც წელზე მეტს ემსახურებოდა დღვის ბოძებულ ჩანგით მშობელ ერს და მარადის „გმირებს ეძებდა მისი დაფი და ნალარა!“

მგოსანმა მიაღწია მიზანს: აკაკის ნაკარ-ნახევი სამშობლოს გმირებს გაუზრდის...

იგი უპრველეს ყოვლისა არა თუ ლექს-თა მიხზველი, არამედ უდიდესი მოქალაქე—მასწავლებელი იყო და საყუთარ გრძნობის გამოხატავს იგი თელი ერთი ხალხის გრძნო-ბა-მისწრაფებით ჰხატავდა..

და ასეთი მღერალი-მოციქული არა-სოდეს მოკვდება... იგი საუკუნოდ ერს-ხალხს ეყოლება გულს ჩახუტებული, ვითარცა წმი-დათა-წმიდნი, მსნელი და ბნელი ზგის მანა-თობელი...

და ვიდრე მსოფლიოს ერთ ციდა მიწაზე მაინც ქართული ენა იმეტკველებს და ქარ-თველი ისუნთქებს, აკაკის ხსენება-სახელიც უვკდავი იქნება,—ვითარცა მამულიშვილობის მოციქულისა, ერის ვანთავისუფლებისათვის მომღერალისა და ძილში მყოფთა გამფხზილე-ბლისა...

ეკლიანი იყო გზა მისი, ამიერ სოფლად ცხოვრებისა, მაგრამ მის ნაკვალევს მომავლი ვარ-ცვაველებით მოჰყვნეს...

ქართველ პრისადმი

1915 წ. 26 იანვრის დამდეგს ღამის პირველ საათზე საქართველოს დიდება, ქართველი ხალხის ეროვნული გულთმისანი და მესაიდუმლო—აკაკი როს. წერეთელი გარდაიცვალა. მისი მამღმრთებელი სამ-შობლო საყოველთაო გლოვის ნისლმა დაჰბურა. დაობლებული ქვეყანა გულის სიღრმიდან ამოხუთქილი კვნესით ემზაურ-ბა თავის წუხილის შეუღარებელი გამო-სახველის სიკვდილს, ერის წმინდა ზრახ-ვების გრძნული მომღერლის დაკარგვას.

მთელი ერი ერთი აზრით გამსჭვალუ-ლი, ერთ გრძნობათ გადაქცეული თვალ-ცრემლიანი და გულჩათხოვნილი შემოკრ-ბება აკაკის წმინდაფხვი ცხენის თაყვანი-საცემლად. მინდა ნეშტს ჩაახარებოს ჩა-ფიქრებულ მთაწმინდის ისტორიულ აკლ-დამას, ხოლო მისი უკვდავი სულის წინა-შე საუკუნო ფიცს დასდებს, რომ არ უღა-ლატებს დიდებული მგოსნის მიერ ნანადერ-ძევ სიმართლის მსახურებას და ეროვნულ იდიებას.

კომიტეტი



სასანი ბარლოისპაღ

მგოსანო, დიდებული იუჯ და დიდებული მახლო-
ბული ანდროძე დანტოფე. ანდროძე არა ნიუთიერი,
არამედ, როგორც შენ შეგეფროდა, სულთერი —
შენი უკვდავი ნაწერები, და ბოლოს — „სახე-
ბით შეკრება ხალხის ზეიბრ-გადმოცემათა.“
საქართველოს სულე, მისი ისტორია, ქართუ-
ლი ერის დაუფრებელი ტვირთ-მიძიმე ტანჯვა-
წამებულთა ზურბულ საუკუნეთა შორის, მისი
ტანჯვათა შორის იუჯისა — აღმოდინებისა — თამარის
დრო — ისურათ-სატყუბა, შენის შეურყეველის
რწმენით, შენისავე ერის უკანე სულში. ესე
სული იყო მახალდეებელი, განმწმედელი, განმბა-
ნელი, და ფაქიზი საბოლოო შენის მოსაუფარუ-
ლე მუზისა. შენი ზოეზია არის უმშვენიერესი
ზოეზია ქართველი ერისა, რომლის სულს არას
დროს არ დაქმობდებიან. მთლიანად ქართველი
ერის სულის მოქანდაკე იუჯი უიუგლოთვის
მისი დიდებული შვილი, უიუგლე გამს მოწონე-
ბით მისი ამბორ-მუთუფლი. რა, რომ სოტე-
ჯერ კიდევ შემოსწორმამხარ შენს სიუვარულს
დედას, სწრაფლ კავთიქრია განმობრებუც კი-
კიუვარდათ ერთმანეთი დიადის სიუვარულითა,
და კარგად იცოდი, არსებითაგ ჭკობობდა,
რომ ჭობობდეს და აღბრდილხარ შენის ერის
სულის სიტუთაში, იცოდი ამასთანავე, რომ
ხორციელ მომკვდავი ხარ, მატრამ ტკბწამდა,
რომ შენი მკვიდრი სიუვარე იყო მხოლოდ ქარ-
თველი ერის სულში, ერის უკვდავების სიღრ-
მეში, და არა რატვარ მოქმობრდებოდი მის და
ასეუდარდ დანას უკუნისმდე თქვენი ერთობა
დაუსსამთ სიუვარულითა.

უკეთუ რომელსამე ერს ჭუთლია დიდილი
შვილი და მგოსანი, მას შენ ხარ და აქნები
სამუდამოდ წმინდა ერთგული დიდი მგოსანი
შემოკრებულ ქართველები და აქნები ასედად,
ვიდრე შენი ერ ერთგუნეს, მისი თქმა „ქმუნე-
ბლობს და მშვენიერი აღმთურქის სიმაროლისა
და უფლებიხადმი არ დაჭმრეტა მას.

ტეშმარტად შენ ხარ სრულიად საქართვე-
ლოს უკვდავების ერთ-სული და ერთგული აღ-
მსარებული შვილი. ჩემი სამტლოფიარო გვირგვი-
ნების საღირელი სრულიად-საქართველოს სე-

მარ თქმულებათა შემოკრებას მოახმარეთ? —
განა უკეთესი ანდროძის დატოფებს კიდევ შეგე-
ძლია, მგოსანო?!

შენი ერის სულის აღმსარებელი იუჯ და
ხდეკ სულის, მას სეზარ თქმათა სიუვარით
შემოკრება სთხოვე შენს ქვეყანას უგანსკენად.
ვიმ გეტყვის უარს? — აღვისრულებენ!
მუხლმოდრეკით თაუენს ესტემ შენს
ტყუდარს, ჩვენო მტხოვანო მგოსანო, მე მტირელი
შენი მოძმენ.

მ ქ უიფიანი

უმარ ბოდება!

შორს გოდება, შორს ტირილი! არახე-
ულებრივ აღმანს არ დანტობინ რადგანც
იგი უკვდავი. მხიარული სევა!.. უნახურია?..
სევა, რადგანც ვაკრავთ ჩვენს მამას, ჩვენს
ამღბრელს და მხიარულთა, დღესასწაული,
რადგან ჩვენს დეთაებს, ჩვენ წმიდათა-წმიდას
ეცოდეთ და ვაბრეთ მარადისობას. იგი უკვ-
დავი ხდება და ჩვენ მასთან უკვდავებს ვეზი-
არებით.. მისი სული წბიდა ნაწილებათ დანს-
წილებული ეველ ჩვენგანმა. მისი ბრწინიული
სიიგები ჩვენსკენ არიან კადტოტორნილი.
მას მადლით ჩვენს ვბრწინავთ!.. შორს ტირი-
ლი, იგი აკეის არ ეკადრება!

განა გეშორდება აკეი?.. იგი მხოლოდ
მადლდება, რათა მადლიდან უფრო ბევრს
ჩვენგანს იგივი ბრწინიული შუი აღვილად
მოჭვიანს

შორს გოდება! არ მომკვდარა, არც სიძი-
ნავს!.. იგი სტოტხლობს და იცოტხლებს მარა-
დისად, შეუწვეტოფ!


შორს ტირილი, შორს გოდება!

საქართველოს მწერთა კავშირი



✓ ა კ ა კ ი

306 იურ. აკაკი?



† ა კ ა კ ი

აკაკი რუსთომის ძე წერეთელი
(1840-1915)

კაკოპო მწერელი

*ამეგრული პოეზიის რუსთომის
და ვაჟის არ ვიცი...
მეც არაა თუ არა
და ვაჟი მათი ძეგლი!*

*ზეგ. აქტივისტი, ზეგ. მს.
ვინა და ჩემი მხრით?
ხეობილი ვინა და მკაცრად
აღიზიანებ ვაჟიყვით.*

ვკაკ

ჩვენი დიდებული საერო მგოსანი, ხალხურ მგოსნობის მამათმთავარი აკაკი დიბადა დ. საჩხერეს, შორაპნის მამ, ქუთაისის გუბ. 1840 წ. თიბათის 9. მამა მისი რუსტომ წერეთელი იმერეთის წარჩინებული მებატონეთაგანი იყო, დედა—სვიმონ მეფის ასულის დარეჯან ბატონიშვილის შვილი, გურიის მთავრის მამია გურიელის დისწული, დიდი ივანე აბაშიძის ასული ეკატერინე, ქართული მწიგნობრობით აღზრდილი, შესანიშნავი განვითარებული მანდილოსანი. მაშინდელი ჩვეულებისამებრ, პატარა კაკო გააბარეს საჩხერის მახლობლად ს. სავანეში, გლეხის ოჯახში. აქ ერთი გლეხი დედაკაცის ძუძუს სწავდა. ხუთ-ექვს წლამდე თავის ძიძა მაროსთან (ყანჩაველის მეუღლესთან) ცხოვრობდა და იმნაირადვე ერთობდა, როგორც მისი ტოლი სოფლის გლეხის ბიჭები. 6 წლისას ოჯახში დააწყებინეს სამშობლო ენის წერა-კითხვა. ამავე უროს ბუნებით ნიჭიერი ბალდი დიდის ცნობისმი-ყვეარობით ისმენდა ხალხურ ზღაპრებს, ლექსებს, ანდაზებსა თუ უფროსთაგან წაკითხულ ზვეფხის ტყაოსანსა. სკოლაში შესვლამდე ქართულ წერა-კითხვაში გაწაფული იყო. აკაკის ჯერ ბერად ამზადებდენ და მოკლე დროს ვანა ვლობაში საღმრთო წერილი დაასრულებინეს. ამ გვარად აკაკი სამშობლო ნიადაგზე აღიზარდა და ამ ნიადაგის საზრდოთი გაიფურჩქნა. 8-10წლისა ქუთაისის გიმნაზიაში მიამარეს, სადაც კურსის გათაყებას ოთხი თვე უკლდა, რომ გიმნაზიას თავი განება, პეტროვარადს გაემგზავრა და იქ სამხედრო სამსახურში აპირებდა შესვლას, მაგრამ ამხანაგთა რჩევით უნივერსიტეტში შევიდა აღმოსავლეთის ენათა ფაკულტეტზე და იმავე დროს სხვა ფაკულტეტების გამოჩენილ პროფესორთა ლექციებსაც ისმენდა. რუსეთში ყოფნის დროს ცოლად შეირთო რუსის ქალი, რომელთანაც შეეძინა ერთი ვაჟი—ალექსი. 1862 წ. უნივერსიტეტიდან გამოვი-



და, სამშობლოში დაბრუნდა, კერძო სამსახურს საქვეყნო ასპარეზო არჩია და მას შემდეგ სამშობლო ქვეყნის სასიკეთო მოღვაწეობის უღელს მხნედ ეწეოდა.

რა ვითარებაში მოხდა აპაქის მოღვაწეობის დაწყება?

მესაოცე წლების რუსეთის მოძრაობამ ბატონ-ყმობის მოსპობის შესახებ ბევრს ჩვენს მოღვაწე-მწერალს გაუფხიზლა აზრი. იმ ხანად ძილში მყოფი ჩვენი ქვეყანა ჯერ კიდევ ვერ გამოარკვეულიყო: მწერლობაში ძველებური კილო ბატონობდა, ეგრედწოდებულ მოწინავე-მოაზრე „სახოგადოებაში“ მხოლოდ წარსულის მოგონებით ოხვრა-გოდება, წარჩინებულ წოდებაში — ვიწრო წოდებრივი სარგებლობიანობისადმი მისწრაფება, ჩინ-ორდენების ძიება, გლეხკაცობაში — მონაწილეობა, სრული სიზნელე, ბატონ-ყმური უღლით განმტკიცებული, ურთიერთობაში — განკერძოება, კუთხურ-თემობრივი განთავითება ასეთ დროს გამოდგეს ფეხი მესამოცე წლების ახალგაზრდა მოღვაწეებმა, აფერიადეს ეროვნული დროში და ცხოვრების მთავარ მიზნად ძილში მყოფ საქართველოს გამოფხიზლება, მთელის ერის გაერთიანება დაისახეს. ამ ახალგაზრდობის ერთი საუკეთესო წარმომადგენელია სრულიად საქართველოს სიამაყე აკაკი.

როდის დაიწყო ლექსების წერა და რა იმოღვაწა?

აკაკიმ ლექსების წერა ძლიერ ადრე დაიწყო, გიმნაზიაში სწავლის დროს. პირველი ლექსი „კანდელი“ ცამეტის წლისამ დასწერა, გარნა აშკარად სამწერლო ასპარეზზე სტუდენტობის დროს გამოვიდა 1853 წ. ჟურ. „ციცქარში“ და ამ დროიდან სამარს კარამდე კალამი აღარ გაუგდია ხელიდან. მწერლობის გარდა ბევრს ჩვენ სახოგადოსაკულტურო საქმეში მონაწილეობდ: სამოციან წლებში სცენისმოყვარეთაგან შემდგვარი დასით წარმოდგენებს მართავდა ქუთაისში; 80-იან წლებში ქართული დრამ. დასით მოვლო ამერ-იმერეთი, მას შემდეგ დ. სის გამგე-რეჟისორი იყო (იმ ხანებში რამდენიმე

პიესაც დასწერა). 90-იან წლებში აღმართნი ქიათურის შავი ქვა, რაიც ჩვენის ქვეყნის დამაწინაურებლად შეიქმნა, 1897 წლიდან გამოსცა თეიური „კრებული“, რომელშიაც უმეტესად საკუთარ ნაწარმოებთ და ზეპირსიტყვაობას თავესებდა, რითაც საფუძველი დაუდო ხალხურ შემოქმედების შეკრებას. გარნა უკვდავი სახელი და ერის დიდება მოიხვეჭა ვითარცა ზენაარი მადლით ცხებულმა მოგონამა, განსაკუთრებით კი — როგორც ლირიკული ლექსების მწერალმა.

როგორი გმოსანი?

აკაკის ლირიკა თავიდან ბოლომდე შემუშავებული მოთქმაა, საერო კენესით აღვსილი, პირდაპირი და შეუღრკველი მხასრაღი, მთელი ქართველი ერის სულისკვეთების, ფიქრის, გრძნობის და მისწრაფების გამომატველი იმდენად მკაფიოდ, რომ ყოველი მკითხველი, რა წრისა და მდგომარეობისაც უნდა იყოს, იმავე გრძნობა-ფიქრებით იმსქვალება. როგორც ქეშმარიტ მგოსანს შეჭვერის, აკაკი ხან ზეციისა ხან მიწის და ერთნაირის აღრფთოვანება-აღვზენებით მხატავს ცხოვრების ყოველ გვარ მოვლენას: ავს-ავად, კარგ-კარგად, ხოლო ვითარცა მტკიცე მამულიშვილი, უმეტესად სამშობლოს, მის აღდგენას უგალობს და იდეალად საყოველთაო ძმობა-სიყვარული, ხალხთა ერთობა-წარმატება დაუხასხავს. მისი ლირიკა თუმცა მუდამ ქართველი ხალხის სევბედსა და ყოფა-ცხოვრებას დასტრიალებს, იმავე დროს მასში ჩაქსოვილია მსოფლიო ჰანგებიც: ეროვნულ ნიადაგზე მან შექმნა მსოფლიო პოეზია. ლექსთწყობის გარგვანი სიმშვენიერეც უმწვერვალესად განავითარა: ნწიგნობრული კილო გამაბრტევა, გაამდაბიურა, გაამდიდრა და შექმნა თანამედროვე სამწერლო ენა, ყველასათვის ადვილგასაგები და ადვილ სასმენი. მისი ლექსები მსუბუქი, მკვირცხლი და ნარნარია, მარგალიტის მძივივით ასხმული, მრავალფეროვანად აღჯამული ღრმა და წმინდა გრძნობით გაქლენთილი.



რა დასწმარა?

ლირიკულ ლექსებს გარდა დასწმარა: **1, ისტორ. პოემები** — თორნიკე ერისთავი, „იკოლა“, „ბაგრატ დიდი“, „ნათელა“, **2, დრამატ. პოემები** — „პატარა კახი“, „თამარ ცბიერი“, „მედი“ **3, ლეგენდა-ამბები** — „აღმზრდელი“ „წმ. გიორგი და ელი“, „ალექსი“, „დავითის გვირგვინი“, „გოგია მეჩანგურე“, **4, პიესები** — „კულდურ-ხანუმი“, „კინტა“, „ახალი გმირი“, „ხანის ვეზირი“, „ბუტიობა“, „მოდრობა“, **5** — მოთხრობანი — „ბაზი აჩუკი“, „სასყაწვილო მოთხრობანი“ და მრავალი სხ., **6**, მრავალი საკამათო და საზოგადო ხასიათის წერილი, ნაყევლები და სხ გარდა ამისა რუსულიდან საუცხოოდ ვადასტოვებულ კრილოვის იგავარაკნი, სთარგმნა „ვიდრე ხელ უფალო?“ „დალატი“ და სხ.

რას უშმარის აპაქი?

აკაკის ნაწარმოებთა საგანია საქართველოს წარსულ და აწმყო, ისტორიულ გმირთა სიქვილე-ვაჟკაცობა და ღღინდელ ქართველთა, სიბრჩავე. მის თხზულებათა ხატებანია უზრუნველი მეპატონე და ჩარჩი, გლეხი და ვაჰარი, ცრუ ინტელიგენტი და ქალაქის ძმა ბიჭი, მზავრელი მტარვალი და დეენილი, ქვეყნისთვის თავდადებული და იულა-გამცემელი და სხ. მგოსანი ჰგრძნობს არსებულ უსამართლობას, ძლიერთან უძლიერთა ჩავერას, უქმ მდიდართან მშრომელი ხალხის გაყვლევას, მაგრამ კლასობრივ განხეთქილებას არ ამწყვეტებს, არამედ გვიმოდერებს საერთო ძალით უსამართლობის მოსპობას, გათანაწილებასა და ძმობა-ერთობის დამყარებას. მის ნეტარი სურვილია თელი ქართველი ხალხის აღორძინება საკუთარი გრკვეულ ხასიათ-მისწრაფებით. მამულიშვილი გრძნობით აღგზნებული მგოსანი მარად გვიმდერად:

„ჩემი ხატა საშობალო.

სასატე შთეა ქვეყანა

და რომ ვაწოდე, ვღნებდე —

არ შემიძღა მეტ განა! —“

და ამავე გრძნობით აღაგზნებს ყოველ მამულიშვილს. აკაკის სწამდა, რომ საშობლო ჩვენი

„არ მომკვლარა, მოხალად სძინავს

და ისევე გაიღვიძებს“

და ამიტომაც სთქვა:

„გმირებს, უფავს დაქებს
ჩემი დაფი და ნდაზა...“

რა რივ დამცირებულამც იყოს საშობლო, ყოველ მის შვილს მიანც უნდა უყვარდესო და ამიტომაც მცნებად მოგვცა: „თვის ტომის დამწუნებულსა ჭირი მიუფა კარზედა!“ ყოველმა უნდა იცოდეს თვისი ეროვნება და თავგამოდებითაც გამოეყარჩლოს, ვინაიდან —

წმიდა წმიდათა არს ეროვნებას,
თვით ტუფებაშიც ხელ უსდებდა...
ეროვნება და მამულისათვის თავის დიდება წმიდა საქმეაო:

ჩეტაზ არს მოხალად მამულიშვილი,
ვინაც მონურად მტერს არ უხრის თავს
და საშობალოსთვის თავის დადებს
სამხიარულად გამოისახავს...
აკაკის ღრმად სწამდა, რომ ჩვენის ქვეყნის მომავალი თვით ხალხის, გლეხების აღდგენა-დაწინაურებაზეა დამყარებული და ამიტომ ეუბნებოდა გლეხის შვილს:

„ხაწინა ახალად და ვადას კახანო ..
დაეს სომ კარგად გაგონე ჩემი ნაწინაო?
მ:ს ნუ გძინავს, გაიღვიძე! იგან ქვეყანაო!
შენც შეტყუე მ:ს სოფლის ცრუ გამოტანაო!“
აკაკიმ არა თუ ღრმა კვალი გაავლო მწერლობაში, არამედ შეტქმნა, მწერლობა და საკუთარი სკოლა. მის გავლენას ემორჩილება ახალგაზრდა მგოსანთა მთელი რივი. შეტქმნა ლექსთაწყობის ახალი გვარი, ეგრედწოდებული „აკაკური“ — ისეთი ლექსი, რომლის პირველი სტრიქონებში ორი ოთხ მარცვლოვანი მუხლია, მეორეში-კი სამ-მარცვლოვანი. —

როგორ უხასიათებენ აპაქის ჩვენი მემკვიდრე პრიტიპოსები?

აპაქი — მართობის მოციქული

პროფ. ალ. ცაგარელი — „აკაკიმ თავის ნაწერებში „ერთობის“ იდეალი განახორციელა და სული ჩაუდგა. იმისთვის არ იყო არც ომერტი, არც კახეთი, არც სამცხე, — იყო მხოლოდ ერთი საქართველო და მგოსანი ნახევარი საუკუნე ამას თავს ეველებოდა და დასტრიალებდა, როგორც არწივი თავის

დასტრიალებდა, როგორც არწივი თავის



წიწილებს, და თანაც მოსთქვამდა და ზედ დამტვროდა მშვენიერი ლექსით ხან „გლოვის ზარის“ კილოზე და ხან „ძღვევისა“ გალობით. „ერეკლე“ თუ „თორნიკე“; „სოლომონ დიდი“ თუ „როსტომ რაჰის ერისთავი“ და სხვა ამერ-იმერნი ყველანი იგივე ქართლოსიანი იყვნენ, სულ ერთი ჯურის, მოდგმის და ტომის, ერთი ქართველი დედის ღვიძლი შვილნი იყვნენ იმის თვალში, სულში და გულში და სულ ერთ ქართველ ერს შეადგენდნენ“.

აქაკი—საქართველოა

იაკობ გოგებაშვილი — „აკაკი ქართული პოეზიის იაღბუზია. აკაკის მაღალი ბუნება იტევს თვის წილში არა ერთს კუთხეს ჩვენის სამშობლოსას, არამედ მთელს საქართველოსას, აკაკი პატარა საქართველოა... განხორციელებული მამულიშვილობაა: მის საქართველო ისეთივე გაგიჟებით ჯყვარს, როგორც ტარიელს ნესტან დარეჯანი... რასაც უნდა სწერდეს, ლექსით თუ პროზით, ყველაში გამოსკვივის აპრიალეზული სიყვარული სატრფო სამშობლოსი. ამ მხრივ აკაკიზე ზედ გამოკრილია გ. ორბელიანის ლექსი:

„მისი ფიქრია, მისი სიტყვა
თუ არ შენდა—არსად იყოს,
შენთან მისი დღე ბრწყინავდეს,
უშენად კი დაჟინდეს!“

აკაკი მტერია ნელთბილი კოსმოპოლიტობისა და მალა აყენებს გულწრფელ და მხურვალე მამულიშვილობას ყველა მოღვაწეში... იგი მამითაც და დედითაც ნამდვილი ქართველია და თვისი გენიალური ნიჭით მჭერმეტყველურად მოწმობს ჩვენის ერის ნიჭიერებას“

აკაკი—მსოფლიო სივდის მომთაველია.

პროფ. ალ. ხახანაშვილი — „ამ უკმაყოფილო მგოსანს, უკმაყოფილო მწერალთა მსგავსად, შესისხლხორცებუი აქვს განსაკუთრებით სალირიკო პოეზია და თვით დრამა-ეპოსში იგი უცვლელად რჩება გრძნობის მოციქულად და მქდაგებლად თვით სალირიკო დარგშიაც მის ჩანგს აღდერებს ორ გვარო სიუჟეტი. სატირა და ელეგია, ქმუნ-

ვისა და გაკიღვის ხმები, ანუ, როგორც თითონ გვამცნობს „ტრემლი“ ნალესი ნაღველი და ნაღვლიანი მწუხარება“. დიდებული ქართველთა მგოსანი წარბომაღვენლია იმ სალიტერატურო მიმართულებისა, რომელსაც ეწოდება „მსოფლიო გოდების“ პოეზია“.

აკაკი—შავდავია და ქართველთა სიამაჲე

კრიტიკოსი ივ. გომართელი — ნ. ბარათაშვილი, ილია ქავჭავაძე და აკაკი წერეთელი სამებაა, რომელიც წარბომაღვენს ქართველი ერის სიწმინდეს, დიდებას; შვენებასა და სიამაყეს. მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში, სამივემ ქართული პოეზია ააყვავეს და ევროპის პოეზიას ამოუყენეს გვერდით თუ ინგლისელები ამაკობენ ბაირონით, ჩვენ შეგვიძლია ვიამაკოთ ბარათაშვილით, თუ ფრანგები ამაკობდენ ვიქტორ ჰიუგოთი, ჩვენ შეგვიძლია ვიამაკოთ ილია ქავჭავაძით; თუ რუსები ამაკობენ პუშკინით, ჩვენ შეგვიძლიან ვიამაკოთ აკაკი წერეთლით... აკაკი წერეთელი განხორციელებული პოეზიაა, ის ქართველი ხელოვნების ჰენიოსია. მისი ლირიკა უკვდავია აქ მუსიკა და პოეზია ერთად არის შედლებული... აკაკი წერეთლის პოეზია — ეს ქართველი ერის ფიქრია, ქართველი ერის გრძნობა; ქართველი ერის მისწრაფება, მისი გულის ნადები. პოეტი, რომელიც ასე სრულიად გამოჰხატავს მთელი ერის სულსა და გულს, ქემარტიკი ჰენიოსია... აკაკი წერეთელმა უკვდავ ჰყო ქართული პოეზია და ქართული ენა და ამით უკვდავ ჰყო თავისი თავი“...

აკაკი — მრის მისანიღუმდე და მოზარე

კრიტიკოსი კიკა აბაშიძე — აკაკი წერეთელი მთელი ჩვენის მდებრედიც არის გონებაში ჩასვდუღას ნაწილის სისოებისა და უიმედობის, ტირიდაისა და სიციდაის „სარგაჲა, მთქდას უმეტესობის სეკდა-სონრისა და სიამდრა-გაღობის მქანგურაჲ და მქსლამურე; ბუღბუღია დღე-ღამე განწყვეტდად შეეფარის სატრფო-ფარდაის „დასონრებისა გამო; უნუგაჲო ტრეილაჲ; „რომქსა ცრემლი სდის შეუმრბეკაჲ ნესტანის ქაჲთაგან ცხრა-კალიტულაჲ და მწიქდაჲვის გამო იგი „ფუტქარის ბუღიაჲ,

მთუ შევხარბი, ხატის ბუხი, ზეცის მუჰა, რამელიც სულსა სწირავს და გულს უძღვნი ღვთის და კაცის ტუბოლ სამსახურს და ვიცნ ხელს უშლის შრომის დროს, მხოლოდ ამისი მკებნარია. იგი ნახევარ საუკუნეზე მეტს მოღვაწეობაში „სანთელი“ იყო, რამელიც „საღმრთელი“ ზარზალით ბნელს ჭიანჭტავს თავის ნათელით და „მუჰდროდ, უხმოდ და უძრავად დნება ვით მსხვერმბი დადი, რომ მადლით გახსნეტავს უღრმელი წვედადი“

აპაკი — ღირიამოსი და პროზაიკი

კრიტიკოსი ხომელი — „... ვითარცა ღირიამოსი, იმას საქართველოში ბადლი არა უავს და თავის შესანიშნავი ტალანტით, სიღრმით, სიძლიერით და სინახით მას უთანასწორდებიან მხოლოდ ორი დიდი ივერელი — შოთა რუსთველი და ნიკოლოზ ბარათაშვილი.

როგორც პროზაიკი, აკაკი ძალიან დიდი მხატვრის ცხოვრების, აღმართის სულის და გულის დრმა მტოდნე და ეველჯან თვის ნაწარმოებში იძლევა დახატულ ხასიათს: ტაბებს, რაც შეადგენს ხელგებურ ნაწარმოებთა დიდს სამკაულს ეველჯან და ეოველთვის.

აკაკი წმინდა, ნამდვილი, ხალხის რეალისტია. ცხოვრების ეოველდღიურ მზავს, ფაქტის იგი ეუერებს ზირდანი, წინდაწინე დაუმხადებელს ახრით და ხატავს ამ ფაქტს გაუზავადებულად სწორედ ისე, როგორი ნამედიდებაც ამ ფაქტს მოახდინა მისსე, რასაკეოველია, საკუთარი შიქმქმედებითი ტალანტის განდით, მკონანი-მხატვარი ეოველთვის თავის სურვილებს და იდელებს, თვისი გრძობის გონების ძალებს უთანხმებს ცხოვრების ფაქტებს ხილმე და ასე ქმნის იგი თვისი ნაწარმოებს. ამსთანავე ზომიერება არსად არ დღატობს აკაკის და ამიტომაც, ამისი ნამქმედარი არას დროს არა დღის აღმართს. ზირიკით, იწვევს სიტონსულს, ხალხის და სიაშის მომჭურვლ ნეტრებას. ამიტომაც, ქართველ მწერალთა შორის აკაკის, მიუჩილებლად, უზირველესი ადგილი უჭირავს და დიდთ თავმოსწონებელი მწერალ-მოღვაწის სხელიც ქვეს გავრდნილი ქართულს, რუსულს, სომხურს, პოლონურს და საზღვარგარეთულს ღიტრეტურაშია“...

როგორ დაზუსტა მომავალი მარა?



1908 წ. შესრულდა 50 წელიწადი — ნახევარი საუკუნე, რაც აკაკი საზოგადო-სამწერლო მოღვაწეობის ასპარეზზე გამოავდა და მთელის თავისის მისწრაფებით სამშობლოს უკეთესი მერმისის მოხლოებას ემსახურებოდა. მადლიერმა სამშობლამ — მთელმა ქართველმა ერმა იმავე 1908 წ. 7 ქონსტუტუბისთვის თვის სასიქადელთა მკონსის დიდის ზეიმით გადაუხადა 50 წლის იუბილე (ჭერ საქართველოს დედა ქალქ თბილისში, მერე ქუთაისში), რამელხელად დაესწრნ მთელის საქართველოს წარმომადგენელი შავის ზღვიდან დღესტან-კახეთის ზღვიდან — და კავკასიის ქვდიან — სომხეთამდე ეროვნებასა, სარწმუნოებისა და ხალხსინობის განურჩეველად. მთელმა ხალხმა იგი **საერო მკონნად** აღიარა და მისი დღესასწაული — ქართველი ერის გათვითნობიერების დასამტკიცებლად. ამ დღიდან მცხოვან მკონსის თეოერო ჭილდო დაქინშნ წ. კ. ს. საგანგებოდ შემდეგი თახხიდან.

იცნობენ თუ არა უცხონი?

აკაკის იცნობენ ეველად მოწინავე ქვეყანაში. ამ სუთიადე წლის წინად ზირიამიან იყო და იქიდან რომი მიელოდა რომის ზნში, რამელმაც საქართველოს დიდებულ მკონსის საგანგებო ზაღატი განუშხადა და სახეიმოდ შეხვედრას უზირებდა, მკამამ ზოგიერთ ქართველთა მოწველებით აკაკი რომს ვედარ ეწვია.

აკაკის ნაწერები გადათარგმნილია: რუსულს (თამარ გიბერი, თონიკო ერისთავი, სავარული, ზატან კახი, თამარ მუჰე, სხვა და სხვა ღექები), გერმანულს, ფრანგულს, ინგლისურს, სომხურს და სხვა ენებზე. რამდე ნიმე რჩული ღქქა გადაღებულია ნოტებზე და გრამოფონის ფორფიტებზეც ჩაწერილია.

მისი ნაწერები უმეტესად ჟურნალ-გაზეთებშია გაბეული. და ათ დიდ ტომზე მეტი შესდგება რომ გამოიცეს.

იოსებ არიშთიელი





ა კ ა კ ი

ექიმ. ივ. სპ. ელიაშვილის ბავშვთა შორის

აკაკის ლექსები

ჩემი რწმენა

(ერთი უკანასკნელი და ჯერ დაუბეჭდავი ლექსთაგანი,
რომელიც თვით მცხოვანმა მგოსანმა გადმოსცა ჩვენს
რედაქციას)

რომ მოდიდდება წყალ-მდინარე
და კალაპოტში ველარ ეტევა,
აღელვებული, აქაფებული
კიდებზედაც გადაენტევა:

წალეკავს ნაპირს და თან წაიღებს
მოპირდაპირედ რაც დაუბეჭდება;
სტიქიონურის ძალმოსილობით
კლდეებს ეხლება და ქვებზე ხტება!.

დაქანებული სიმწრით თავდაღმა,
უსწორმასწოროდ იმღერევა ხშირად
და გველ-ბაყაყიც თევზებთან ერთად
გამოჰყავს ხოლმე ძალით ნაპირად!.

ხალხიც ასეა: რომ აღელდება
და თავის ქერქში ველარ ეტევა,
ვერ შეაჩერებს, როგორც სტიქიონს
ველარც ვედრება და ველარც წყევა.

წალეკავს ყველას, რაც ცხოვრებ-სთვის
არ გამოდგება, უქმი ბარგია
და გადარეცხავს სისხლით მხოლოდ მას
რაც წარსულიდან აღარ არგია!.

და როდესაც ის კალაპოტშივე
ჩადგება ბოლოს დამწვინებული,
დაიწმინდება და იწყებს დენას
სხვა ცხოვრებისთვის გაახლებული.

ასე ვფიქრობდი და ამ განძრახვის
მოვესწარ კიდევ... განხორციელდა:
აქამდე მონა ბიუროკრატის
დღეს გამოფხიზლდა ხალხი, აღელდა.



კინძიშვილი
გ. გ. ანბ



და აღარ უნდა კიდევ იკისროს
ძალმომრეობის ძველი უღელი!..
განთიადს ელის ადლო აღებით,
ნათელს მოეღის, მოსწყინდა ბნელი!..

მოეღის, მაგრამ ჯერ კი არა აქვს
მას ის ნათელი გამორკვეული
და მრუდესა და სწორს თანსწორად ებრძვის,
გაურჩეველად გზა დაბნეული!..

აი ეს არის ის დიდი ძალა,
რომელსაც ჰქვია რალაც სტიქია
და რასაც ხშირად ძველი ტალახი
თან წაუღია.. წაუღევია!

სიყმაწვილიდან მოხუცებამდე
ეს მაწვია გულზე, როგორც რომ ლოდი,
და ხალხის ჩვენში გამოღვიძებას
ერთხელ, ოდესმე მეც მოველოდი

მადლობა უფალს, რომ მოვესწარი
ჩემი სურვილის ასრულებასა.
და ვით ბულბული, დაბერებული
მეც ღროს უგალობ ჰქებათ-ქებასა.“

მართალი არის სისხლი იღვრება,
მაგრამ მოითხოვს ამას ბუნება!
წყალი ხორცსა ჰბანს და სისხლი სულსა,
ამას გვიმოწმებს თვით ქრისტეს ვნება.

თვითო-ორიოა კარგიც იჭრება,
რომ იმარგლება სიმინდის ყანა,
მაგრამ ამიტომ მის გათოხნაზე
ხელს იღებს ხოლმე ქვეყანა განა?

მყარად ბალახებთან ზოგჯერ უეცრად
იჭრება ხოლმე ვარდი და ია!
საქმე არ არის ერთში და ორში!..
საქმეა მხოლოდ თვით იღვია!!

ხალხი მღელვარებს, ვაშა მის ღელვას!
ერთხელ ის მღვრიაც გაიწმინდება,
როცა ცხოვრება გამარჯვებული
კალაპოტშივე წმინდად ჩადგება. .

ასე გრძნობს გული, აღღვებულო,
ხალხის მიბაძვით მოუსვენარი!

ვერ შეაჩერებს ძალად ზამთარი,
როცა გაზაფხულს ეღება კარი!..

გ ა ნ თ ი ა დ ი

მთა-წმინდა ჩაფქრებულა,
შეჭეურებს ცისკვის ვარსკვლავსა;
მნათობა სხავესთ მადლით ჭეფის
თავ-დადებულის სიფლავსა.

დადუმებულა მთაწმინდა,
ისმენს დუღუნსა მტკვრისსა,—
მდინარე ნანს უმღერის
რანდსა, ურნსა მტრისსა.

მთაწმინდა გულში ისუტებს
საშვილისშვილო სამარეს,
მ.მა დაეთსა ავედრებს,
ახარეს ქვეყნის მოყვარეს.

მკაჟნა გრძნობა მორგეით
თვალს აუღებს არე-მარესა
და გულის ზასუსსა ნარნადად
უმღერის ტურფა მხარესა:

რცა-ფიარუს, სმეღეთ-ზურმუხტო,
ჩემო სამშობლო მხარეო,
სნეული დაბურქეთუფარ,
შეურნადად შემეუარეო.

უვერ ზვიტანე ობლობა,
სისხლის ცრემლები ვღვარეო,
წამდღა სულმა და გულმა,—
შენს ნახვას დავეჩქარეო.

წინ მომეკებენ დამიდიო
შენი მზე, შენი მთვარეო,
გუნდი და გუნდი ვარსკვლავი,
მოკაშკაშ-მოელვარეო.

გულში აფეთქა სიამეში,
სეველები უკმ ვუარეო—
ია და ვარდი დამწყნარი,
სელ ახლად გაშიხარეო.

რცა-ფიარუს, სმეღეთ-ზურმუხტო,
სულის ჩამდგმელო მხარეო,
შენი ვარ, შენოვის მოვეკვები,
შენსედევე შგლოვარეო.



„ნურც შევლარს გამწირავს,
ნურც ცოცხლს,
სე კალთა დამაფარო;
და რომ მოვეკუდებო ტახსოვლეს,
ანდერძი დავიბარებო.“

„დედა-შვილობა ბევრს არ გთხოვ—
შენს მიწას მიმზარებო,
ცა-ფიარუხ, ხმელეთ ზურმუხტო,
ჩემო სამშობლო მხარეო!..“

ს უ ლ ი კ ო

საუკრლის საფლავს ვეძებდი,
ვერ ვხახე.. დაკარგულიყო!..
გულ ამოსკვნილი ვნოდი:
„სად ხარ, ჩემო სულიყო?!“

კვლში ვარდი შევინახე,
თბილად რომ ამოსულიყო;
გულის ფანტაზიით ვაიოსხვდი:
„შენ ხომ არ ხარ, სულიყო?!“

ნიშნად თანხმობის კოკობი
შვირხა... თავი დახარა,
ცვარ მარგალიტი ციურთ
დახლას ცრემლებათ დაჭყარა.

სულ-განახული ბუღბულია
ფოთლებში მიმდულიყო.
მიფეხბატებლე ჩიტუნას:
„შენ ხომ არ ხარ, სულიყო?!“

შეიფრთქილას მგოსანმა,
ვევადის ნისკარტი შეახო,
ჩაიკვინეს ჩაიკვიაკვია,
თითქოს სთქვას: „დაიხ, დაიხო!“

დატკბათქათებდა ვარსკვლავი,
სხივები გადმოსულიყო,
მას შევკითხე შეფრქვევით:
„შენ ხომ არ ხარ, სულიყო?!“

დასტური მომცა ციმციმით,
სხივები გადმომაყარა
და იმ დროს ეურში ჩურჩულით
ჩაიგუბდა ასე მახარა:

„ეგ არის, რასაც ეძებდი,
მორჩი და მოიყვნიე!“

დედ დამდადე ვწ ტკბილად
და დამე გათიუქეო!“

„სამად დაშლიდა ის ერთი:
ვარსკვლავით, ბუღბულ, ვარდათო,
თქვენ ერთმანეთი რადგანც
ამ ქვეყნათ შეთიუგვარდათ.“

მენიშნა... ზღარ ლექები
საუკრლის კუბო-სამარეს,
ზღარც შეგზიფა ქვეყანას,
და არც ვდგომი ცრემლებს მდუღარეს!

ბუღბულს ეურს ვუგებო, ვარდს ვენოსავ,
ვარსკვლავს შევეურებო ღვინითა
და რასაც ვგრძნობ მე იმ დროს,
ვერ გამოითქვამს ენითა!

ისევ გამეხსნა სიფიცხლე,
დედები რომ მწარეთ კრულ იყო,
ახლა ეი ვიცი, სადაც ხარ,
სამცან გაქვს ბინა, სულიყო!..

ს ი კ ვ დ ი ლ ი *

მაშ ეს ყოფილა სიკვდილი... მეტი არა-
ფერი!

